

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

საინფორმაციო საზოგადოებისადმი ქვეყნის მზაობის საერთაშორისო ინდექსები

ზუმბურიძე ოთარ, სტუ-ს სრული პროფესორი
ჟიჟილაშვილი ნინო, სტუ-ს დოქტორანტი

XX

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) გამოყენება და განვითარება ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების წარმატებული განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ის არსებითად ცვლის ყველა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია კაცობრიობის, ცხოვრების ნებისმიერი სფეროს პროგრესი, მსოფლიოს უსაფრთხოება, ეფექტური საერთაშორისო ურთიერთობები, განათლების სისტემა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება თუ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.

იქმნება და ვითარდება ახალი, საინფორმაციო საზოგადოება. საინფორმაციო საზოგადოების შექმნა და განვითარება, მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში აქტიური ინტეგრირება ქვეყნის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს საფუძვლად და პრიორიტეტად მოიაზრება.

ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგებითი შეფასების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო კომპოზიტური ინდექსები გამოიყენება, რომელთა საფუძველზეც მუშავდება მრავალფეროვანი რეიტინგები, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოების მზაობას საინფორმაციო საზოგადოებისადმი და ასევე, სსტ-ს გამოყენების ცალკეულ მიმართულებებს - ელექტრონულ ბიზნესსა და ელექტრონულ მთავრობას.

მსოფლიოში განსაკუთრებით ცნობილი ინდექსებია: ქსელური მზაობის ინდექსი (Networked Readiness Index – NRI), რომელსაც ყოველწლიურად ამზადებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მსოფლიო ბანკი და ბიზნესის საერთაშორისო სკოლა (INSEAD) [1]; ციფრული შესაძლებლობების ინდექსი (Digital Opportunity Index – DOI), რომელსაც ამუშავებს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU) [2]; ელექტრონული მზაობის ინდექსი (E-Readiness), რომელსაც Economist Intelligence Unit (EIU) განსაზღვრავს ინსტიტუტთან IBM Institute for Business Value თანამშრომლობით [3]; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსი, რომელსაც ამუშავებს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი [4] და ასევე, გაეროს მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული ელექტრონული მთავრობისადმი ქვეყნების მზაობის ინდექსი (E-Government Readiness

Index) [5].

განვიხილოთ ზემოხსენებული ინდექსები და მათი შესაბამისი ძირითადი მაჩვენებლები და აგრეთვე, საქართველოს ადგილი მოცემული ინდექსების მიხედვით მიღებულ მსოფლიო რეიტინგებში და ამ მდგომარეობის დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში.

ქსელური მზაობის ინდექსი (NRI)

ქსელური მზაობის ინდექსი (Networked Readiness Index – NRI) კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას მსოფლიოს ქვეყნებში. იგი 2001 წ. იქნა შექმნილი. 2002 წლიდან ქვეყნდება მსოფლიოს ქვეყნებში საინფორმაციო საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებულ სპეციალურ ყოველწლიურ ანგარიშში - „გლობალური საინფორმაციო ტექნოლოგიების ანგარიში“ („The Global Information Technology Report“). ამჟამად აღნიშნული ინდექსი ქვეყნის სსტ-ს პოტენციალისა და მისი სსტ-ს განვითარების შესაძლებლობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად განიხილება და სსტ-ს განვითარების ინდექსს ზომავენ 67 პარამეტრის მიხედვით, რომლებიც 3 ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული:

1. სსტ-ს განვითარებისათვის შესაბამისი პირობების არსებობა - საქმიანი და ნორმატიულ-სამართლებრივი გარემოს საერთო მდგომარეობა, კონკურენცია, ინოვაციური პოტენციალი, ინფრასტრუქტურა, ახალი პროექტების დაფინანსების შესაძლებლობები, მარეგულირებელი ასპექტები და სხვ.

2. სსტ-ს გამოყენებისადმი მოქალაქეთა, საქმიანი წრეებისა და სახელმწიფო ორგანოების მზაობა - სახელმწიფოს პოზიცია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, აღნიშნულ სფეროზე გაწეული ხარჯები სახელმწიფოს მხრიდან, ბიზნესისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ინტერნეტზე დაშვებისადმი მისი გამოყენების დონე, მობილური კავშირის ღირებულება და სხვ.

3. საზოგადოებრივ, კომერციულ და სახელმწიფო სექტორებში სსტ-ს გამოყენების დონე - პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა, ინტერნეტმომხმარებლების რაოდენობა, მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობა, სახელმწიფო ორგანიზაციების მოქმედი ინტერნეტ-რესურსების არსებობა, ასევე, ქვეყანაში საინფორმაციო

ტექნოლოგიების ზოგადი წარმოება და გამოყენება.

ინდექსი გამოითვლება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორიცაა გაერო, ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირი, მსოფლიო ბანკი, ასევე, იმ შედეგებით, რომელიც მიიღება ხელმძღვანელების ყოველწლიური კომპლექსური გამოკითხვით და რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი პარტნიორ ინსტიტუტებთან ერთად (კვლევითი და საქმიანი ორგანიზაციები) ატარებს კვლევის ობიექტ ქვეყნებში [1,6].

მიღებული ინდექსების მიხედვით ხდება ქვეყნების რანჟირება და მიღებულ მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილი ინდექსის უმაღლეს მნიშვნელობას შეესაბამება.

აღსანიშნავია, რომ სსტ-ს სფეროში მსოფლიო ლიდერების წარმატება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ყურადღებით, ხარისხიანი განათლებით, ნოვატორობით და მოსახლეობისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისადმი ფართო ხელმისაწვდომობით.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2008-2009 წწ. ქსელური მზაობის ინდექსის მიხედვით მსოფლიო რეიტინგში პირველი ხუთი ადგილი შესაბამისად შემდეგ ქვეყნებზე გადანაწილდა: დანია, შვედეთი, აშშ, სინგაპური, შვეიცარია. საქართველო 88-ე ადგილს იკავებდა. ამ მხრივ, კავკასიის რეგიონში ლიდერობდა აზერბაიჯანი (60-ე ადგილი), რომელსაც შესაბამისად მოსდევდა საქართველო

და სომხეთი (114-ე ადგილი).


რაც შეეხება რუსეთს, ის ჩამორჩებოდა აზერბაიჯანს და აღნიშნულ რეიტინგში 74-ე ადგილს იკავებდა.

2009-2010 წწ. მოცემული ინდექსის მიხედვით იმავე რეიტინგში (რეიტინგის პირველი ხუთეული იყო: შვედეთი, სინგაპური, დანია, შვეიცარია, აშშ) საქართველო ჩამოქვეითდა 10 პოზიციით და 93-ე ადგილზე აღმოჩნდა. კავკასიაში ლიდერობას ინარჩუნებდა აზერბაიჯანი, რომელიც საქართველოს მსგავსად ჩამოქვეითდა და 64-ე ადგილზე გადაინაცვლა. საქართველო კვლავ უსწრებდა სომხეთს, რომელიც თავის მხრივ, დაწინაურდა და 101 ადგილზე გავიდა.

რუსეთმა 80-ე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა კვლავ აზერბაიჯანის მომდევნო აღმოჩნდა [7].

2011-2012 წწ. მონაცემებით მიღებულ რეიტინგში (რეიტინგის პირველი ხუთეული: შვედეთი, სინგაპური, ფინეთი, დანია, შვეიცარია) 88-ე ადგილზე გასულმა საქართველომ დაიბრუნა ძველი პოზიცია. ზოგადი სურათი კვლავ შენარჩუნდა, ანუ კავკასიაში ლიდერობს აზერბაიჯანი (61-ე ადგილი), მას მოსდევს საქართველო და სომხეთი (94-ე ადგილზე).

რაც შეეხება რუსეთს, მისი ინდექსი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აღნიშნულ რეიტინგში იგი 56-ე ადგილზე აღმოჩნდა და ამგვარად, წინა წლებთან შედარებით, კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან თუ მხოლოდ აზერბაიჯანს ჩამორჩებოდა, ამჯერად მან ამ უკანასკნელსაც გაუსწრო ქსელური მზაობის ინდექსის მიხედვით [7,8] (იხ.ნახ.1).



ქსელური მზაობის ინდექსის მიხედვით ქვეყნის რეიტინგი შესაბამის მსოფლიო რეიტინგში

ნახ.1. ქსელური მზაობის ინდექსი (Networked Readiness Index – NRI)

ციფრული შესაძლებლობების ინდექსი

ციფრული შესაძლებლობების ინდექსი (Digital Opportunity Index – DOI) საშუალებით ფასდება სსტ-ს განვითარების ინტეგრალური დონე, რომელიც მიიღება სამ ჯგუფში გაერთიანებული 11 მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე:


1. სსტ-ს გამოყენების შესაძლებლობები:
 - მობილური სატელეფონო კავშირით მოცული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა;
 - ერთ სულ მოსახლეზე მობილური კავშირის ტარიფები პროცენტებში, მოგების მიხედვით;
 - ერთ სულ მოსახლეზე ინტერნეტზე დაშვების ტარიფები პროცენტებში, მოგების მიხედვით;
2. სსტ-ს ინფრასტრუქტურა:
 - ფიქსირებული სატელეფონო ხაზის მქონე ოჯახების წილი;
 - 100 მოსახლეზე მოძრავი მობილური კავშირის მქონე აბონენტთა რაოდენობა;
 - კომპიუტერის მქონე ოჯახების წილი;

3. სსტ-ს გამოყენება:

- ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 100 სულ მოსახლეზე;
- ფართოზოლოვანი ინტერნეტის (ფიქსირებული) მომხმარებელთა წილი ინტერნეტმომხმარებელთა სრულ რაოდენობაში;
- ფართოზოლოვანი მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა წილი მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სრულ რაოდენობაში.

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი გაეროსთან ერთად იყენებდა ციფრული შესაძლებლობების ინდექსს სსტ-ს განვითარების დონის შესაფასებლად, მსოფლიოს 180 ქვეყნისთვის [2,6].

2005 წლის ციფრული შესაძლებლობების ინდექსის შესაბამისად შედგენილ მსოფლიო რეიტინგში პირველ ხუთეულს შემდეგი ქვეყნები წარმოადგენდნენ შესაბამისად: კორეა, იაპონია, დანია, ისლანდია, ჰონგ-კონგი/ჩინეთი. აღნიშნული რეიტინგის მიხედვით კავკასიის რეგიონში საქართველო ლიდერობდა (84-ე ადგილი) და წინ უსწრებდა აზერბაიჯანსა (99-ე ადგილი) და სომხეთს (120-ე ადგილი).



ნახ.2. ციფრული შესაძლებლობების ინდექსი (Digital Opportunity Index – DOI)

რაც შეეხება რუსეთს, ის წინ უსწრებდა კავკასიის ქვეყნებს და 60-ე ადგილზე იმყოფებოდა [9].

მომდევნო, 2006 წლის რეიტინგში (ამჯერად რეიტინგის პირველი ხუთეულია: კორეის რესპუბლიკა, იაპონია, დანია, ისლანდია, სინგაპური) საქართველომ 88-ე ადგილზე გადაინაცვლა (4 პოზიციით ჩამოქვეითდა), თუმცა


აზერბაიჯანისა და სომხეთის ინდექსების შესაბამისი მაჩვენებლები კიდევ უფრო მეტად გაუარესდა და კავკასიის რეგიონში ლიდერი კვლავ საქართველოა, ხოლო მას მოსდევს აზერბაიჯანი (101-ე ადგილი) და სომხეთი (117-ე ადგილი).

რუსეთმა კი წარმატებით გადაინაცვლა 51 ადგილზე და უკან ჩამოიშორა კავკასიის რეგიონის ქვეყნები [10] (იხ.ნახ.2).

ელექტრონული მზაობის ინდექსი

ელექტრონული მზაობის (e-readiness) ყოველწლიურ რეიტინგს განსაზღვრავს Economist Intelligence Unit (EIU) ორგანიზაცია ინსტიტუტთან IBM Institute for Business Value თანამშრომლობით; განსაზღვრის პროცესში გამოიყენება მსოფლიო ბანკის, Pyramid Research და სხვა ორგანიზაციებისგან მიღებული მონაცემები და იგი განისაზღვრება შემდეგი ექვსი კრიტერიუმის მიხედვით, რომლებსაც თავისი შესაბამისი წონები გააჩნიათ:

დაშვების შესაძლებლობა და ინფრასტრუქტურა - 20%; ქვეყანაში ელექტრონული ბიზნეს-გარემოს მდგომარეობა - 15%; სოციალური, განათლების დონე - 15%; სამართლებრივი გარემო - 10%; სახელმწიფო პოლიტიკა - 15%; განსხვავებული ინტერნეტ-შესაძლებლობების გამოყენებისადმი ბაზრის მზაობა - 25%. აღნიშნულ 6 ძირითად ჯგუფში გაერთიანებულია 100-ზე მეტი სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი [3, 6].



ნახ.3. ელექტრონული მზაობის (e-readiness) ინდექსი

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მზაობის ინდექსის ანუ როგორც მას შემდგომ ეწოდა, ციფრული ეკონომიკის ინდექსის მიხედვით მიღებულ მსოფლიო რეიტინგებში (რანჟირებული იქნა 70 ქვეყანა), სამწუხაროდ, საქართველო და სომხეთი ვერ მოხვდა (იხ.ნახ.3).

რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2008-2010 წლების რეიტინგებში (2008 წლის რეიტინგში პირველი ხუთი ადგილი შემდეგნაირად გადანაწილდა: აშშ, ჰონგ-კონგი, შვედეთი, ავსტრალია, დანია; 2009 წლის რეიტინგში - დანია, შვედეთი, ჰოლანდია, ნორვეგია, აშშ; 2010 წლის რეიტინგში - შვედეთი, დანია, აშშ, ფინეთი, ჰოლანდია) რუსეთი სტაბილურად ინარჩუნებს 59-ე ადგილს, ხოლო აზერბაიჯანი 2008 წლის რეიტინგში 68-ე ადგილიდან 2009 წელს 70-ე ადგილზე გადაინაცვლა (2 პოზიციით ჩამოქვეითდა), რომელიც არც 2010 წელს არ შეუცვლია [3, 11].

სსტ-ს განვითარების ინდექსი IDI

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსი სსტ-ს განვითარების საერთო პროგრესის განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ის შედგენილი (კომპოზიტური) ინდექსია, რომელიც 11 მაჩვენებელს აერთიანებს და ემყარება მონაცემებს, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის კავშირგაბმუ-

ლობის ადმინისტრაციები და სტატისტიკური უწყებანი ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირს ყოველწლიურად აწვდიან. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული უწყებანი არ წარადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი ან გახსნილი ინტერნეტრესურსებიდან იყენებს მონაცემებს, ან ინდექსში ქვეყნის წინა წლის მაჩვენებლებს ტოვებს.

IDI-ინდექსი ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირმა 2007 წელს დაამუშავა. ის გამოითვლება სამი ქვეინდექსის გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავენ სსტ-ზე დაშვების, სსტ-ს გამოყენებისა და ამა თუ იმ ქვეყნის მიერ სსტ-ს გამოყენებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების (კვალიფიკაციების) მაჩვენებლებს. ამასთანავე, IDI-ქვეინდექსები განსხვავებული წონით ხასიათდებიან. სსტ-ზე დაშვება - 40%; სსტ-ს გამოყენება - 40%, სსტ-ს გამოყენებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციები - 20%.

თავისმხრივ, აღნიშნული ქვეინდექსების გამოსათვლელად განსაზღვრულ მაჩვენებლებს თავისი წონა აქვთ [12].

სსტ-ზე დაშვება - 40% ასახავს ქვეყანაში სსტ-ს ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს და განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. 100 სულ მოსახლეზე ფიქსირებული სატელეფონო კავშირის რაოდენობა - 20%,

2. 100 სულ მოსახლეზე მობილური სატელეფონო კავშირის კონტრაქტების რაოდენობა - 20%,
3. ერთ მომხმარებელზე საერთაშორისო ინტერნეტ-რესურსების გამტარუნარიანობა (ბიტი/წმ) - 20%.
4. კომპიუტერის მქონე ოჯახების პროცენტული რაოდენობა - 20%
5. ინტერნეტზე დაშვების მქონე ოჯახების პროცენტული რაოდენობა - 20%

სსტ-ს გამოყენება - 40% განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. ინტერნეტის მომხმარებელთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში - 33%,
2. 100 სულ მოსახლეზე ფიქსირებული ფართო-ზოლოვანი დაშვების მომხმარებელთა რაოდენობა (ფართოზოლოვანი დაშვება ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის მიერ განისაზღვრება, როგორც დაშვება, რომლის მინიმალური სიჩქარეა 256 კბიტი/წმ) - 33%,
3. 100 სულ მოსახლეზე მობილური ფართოზოლოვანი დაშვების კონტრაქტების რაოდენობა - 33%.

სსტ-ს გამოყენებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციები - 20%, ასევე, საბიზნესო განსაზღვრება:


1. მოზრდილი მოსახლეობის განათლების კოეფიციენტი - 33%,

2. საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა - 33%,
3. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების პროცენტული რაოდენობა - 33%. [12]

2008 წელს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსის მიხედვით შედგენილი მსოფლიო რეიტინგის თანახმად, წამყვანი ქვეყნების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურებოდა: კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, დანია, ლიუქსემბურგი, ჰოლანდია. კავკასიის რეგიონში ლიდერობდა აზერბაიჯანი (83-ე ადგილი), მას მოსდევდა საქართველო (85-ე ადგილი) და სომხეთი (86-ე ადგილი).

რაც შეეხება რუსეთს, ის წინ უსწრებდა კავკასიის ქვეყნებს და 49-ე ადგილზე იმყოფებოდა.

2010 წელს (რეიტინგში პირველი ხუთეული შემდეგნაირად გადანაწილდა: კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, ისლანდია, დანია, ფინეთი), წინა წლებთან შედარებით, კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა გაიმყუდეს IDI-ინდექსის მაჩვენებლები და საბოლოო ჯამში, კავკასიის რეგიონში ლიდერობდა სომხეთი (72-ე ადგილი), მას მოყვებოდა აზერბაიჯანი (74-ე ადგილი) და შემდეგ საქართველო, რომელმაც მოცემულ რეიტინგში 77-ე ადგილზე გადაინაცვლა (დაწინაურდა 8 პოზიციით).



ნახ.4. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების IDI-ინდექსი

ასევე, რუსეთმაც 49-ე ადგილიდან 47-ე ადგილზე გადაინაცვლა [13].

2011 წლის იმავე რეიტინგის მიხედვით (რეიტინგის პირველი ხუთეული - კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, დანია, ისლანდია, ფინეთი), კავკასიაში კვლავ შეინარჩუნა ლიდერობა აზერბაიჯანმა (68-ე ადგილი), საქართველომ კი 73-ე ადგილზე გადაინაცვლა (დაწინაურდა 5 პოზიციით), ხოლო სომხეთი

ვერ მოხვდა აღნიშნულ რეიტინგში (იხ.ნახ.4).

კავკასიის კვლავ უსწრებდა რუსეთი, რომელიც 38-ე ადგილზე აღმოჩნდა [14].

ელექტრონული მთავრობისადმი მზაობის ინდექსი

ელექტრონული მთავრობის გამოყენებისადმი ქვეყნის მზაობის ინდექსის (E-Government Readiness Index)

შეფასება სრულდება გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დეპარტამენტის საკმინდობის ფარგლებში, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს, სადაც ასახულია სსტ-ს განვითარების პოტენციალი და შესაძლებლობები მსოფლიოს 191 ქვეყნის მიხედვით.

ამ მიზნით გამოყენებული ინდექსები აფასებენ სახელმწიფოს მზაობას ელექტრონული მთავრობის (E-Government Readiness) და ელექტრონული მონაწილეობის (E-participation) მიხედვით. გამოიყენება ელექტრონულ მთავრობის განვითარებაზე მოქმედი 2 ძირითადი ასპექტი:

- სსტ-ს ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციალი ან შესაძლებლობა სახელმწიფოს მხრიდან, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს მოსახლეობისა და ბიზნესის მომსახურების ხარისხი ანუ ქვეყნის მზაობა ელექტრონული მთავრობისადმი;
- მზაობა, რაც გულისხმობს მთავრობის მხრიდან მოქმედებების არსებობას, რომელიც მიმართულია შესაბამისი ინფორმაციითა და ცოდნით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

ელექტრონული მთავრობისადმი მზაობის ინდექსი გამოხატავს ელექტრონულ მთავრობაზე დაშვების მასშტაბებს, ძირითადად, ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და განათლების დონეს, რომ შეიქმნას წარმოდგენა, როგორ იყენებს ქვეყანა სსტ-ს საშუალებებს ეროვნული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მიზნებისათვის. ამ ინდექსით შესაძლებელია შედარდეს მდგომარეობა და ანალიზი გაუკეთდეს იმ ტენდენციებს, რომლებიც არსებობს ქვეყნებისა და რეგიონების ფარგლებში, ასევე, უშუალოდ მათ შორის. მოცემული ინდექსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის ხელმძღვანელებისთვის, პოლიტიკოსებისთვის, სპეციალისტებისთვის, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყნის მდგომარეობა და პოზიცია მსოფლიო საზოგადოებაში ელექტრონული მთავრობის განვითარებისა და გამოყენების მხრივ.

ელექტრონული მთავრობისადმი მზაობის ინდექსი შედგება 3 ამოსავალი ინდექსიგან, ეგეით წოდებული ქვეინდექსებისგან. ესენია სამთავრობო ვებსაიტების განვითარების, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური კაპიტალის ქვეინდექსები. აღნიშნულ ქვეინდექსებში ჩართული მაჩვენებლებიდან უშუალოდ ელექტრონულ მთავრობას ეხება მხოლოდ ერთი - Web Measure Index - რომლის ფარგლებშიც ანალიზდება სამთავრობო ვებსაიტების განვითარების დონე. ამასთანავე, რადგან შეუძლებელია ყველა სამთავრობო ვებგვერდის შეფასება (სამინისტროებისა და სააგენტოების საიტები) ინდექსში მონაწილე ყველა სახელმწიფოსთვის, გადაწყდა, შემოფარგლულიყვნენ 6 რესურსით: მთავრობის საიტი და 5 სამინისტროს ან სააგენტოს ვებგვერდი - ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების, ფინანსების. ორი დანარჩენი ქვეინდექსი განისაზღვრება ოფიციალურ სახელმწიფო სტატისტიკებზე დაყრდნობით ტელეკომუნიკაციებისა (ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირი) და განათლების (UNDP და UNESCO) სფეროში.

მნიშვნელოვანია სამთავრობო ორგანოების საქმიანობაში სტატისტიკური პრაქტიკისა და სსტ-ს გამოყენების

მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრულყოფა და ასევე, იმ ინდიკატორების ნაკრების შეთანხმება-შესაბამისობა, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო მართვის ხარისხის მონიტორინგის სისტემებში ელექტრონული მთავრობის განვითარების კვლევებთან მიმართებით. ამგვარი ინტეგრაციისა და ურთიერთქმედების საფუძველს წარმოადგენს ელექტრონული მთავრობის, როგორც ადმინისტრაციული რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტის განხილვა [6].

ელექტრონული მთავრობისადმი მზაობის ინდექსის მიხედვით მიღებულ 2010 წლის მსოფლიო რეიტინგში პირველი ხუთი ადგილი შმდე ქვეყნებზე გადანაწილდა: კორეის რესპუბლიკა, აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია. მოცემულ რეიტინგში კავკასიის რეგიონს ლიდერობდა აზერბაიჯანი (83-ე ადგილი), მას მოსდევდა საქართველო (100-ე ადგილი) და სომხეთი (110-ე ადგილი).

რაც შეეხება რუსეთს, ის წინ უსწრებდა კავკასიის ქვეყნებს და 59-ე ადგილზე იმყოფებოდა [14].

2012 წლის იმავე რეიტინგის მონაცემებით (რეიტინგის პირველი ხუთეული - კორეის რესპუბლიკა, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, დანია, აშშ) კი კავკასიის რეგიონში ლიდერობა ითავა საქართველომ, რომელმაც 38 პოზიციით დაწინაურდა და 72-ე ადგილზე აღმოჩნდა, მას შესაბამისად მოყვნენ სომხეთი (94-ე ადგილი) და აზერბაიჯანი (96-ე ადგილი) (იხ.ნახ.5).


ხოლო 27-ე ადგილზე დაწინაურებული რუსეთი კვლავ წინ უსწრებს კავკასიის ქვეყნებს [5].

აღსანიშნავია, რომ ინდექსების მაჩვენებელთა გაზარდების მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე არ არის მაღალი, ასევე, დაბალი შემოქმედებითი ინიციატივა ყველა დონეზე, ეკონომიკის განვითარებაში ბოლო დრომდე არსებული სსტ-ს გამოყენების დაბალი ხარისხი.

საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში არსებული პრობლემები, ძირითადად განპირობებულია ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონით, მიუხედავად მოსახლეობის მხრიდან ინფორმაციაზე, საკომუნიკაციო მომსახურების სახეებზე დიდი მოთხოვნისა, რაც თავის მხრივ აფერხებს ამ სფეროს შემდგომ განვითარებას. აგრეთვე, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში სრულყოფილი, განვითარებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, ქვეყნის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურაში მოძველებული ტექნიკური საშუალებების ზვედრითი წილის მაღალი მაჩვენებლის შემცირება, დარგში საინვესტიციო მიზიდველობის ზრდა და თანამედროვე ტექნოლოგიურ სისტემებში ინვესტიციების სტიმულირება.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება არ უნდა იქცეს უაზრო თვითმიზნად, არამედ ამა თუ იმ ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკური მიზნებისა და საჭიროებების შესაბამისად ჯეროვნად უნდა განისაზღვროს კონკრეტულად, რა ტიპის ტექნოლოგიები იქნება უფრო ეფექტური.

აუცილებელია ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მოდელის ინფრასტრუქტურის აგება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც ტრადიციული, ისე ახალი თაობის ქსელური ტექნოლოგიების გამოყენებით და ამასთანავე, მოსახლეობის, სამთავ-



ნახ.5. ელექტრონული მთავრობის გამოყენებისადმი ქვეყნის მზაობის (E-Government Readiness Index)

რობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს უზრუნველყოფა შესაბამისი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებებითა და მომსახურებით. ქვეყნის მოდერნიზაციისა და ინოვაციური განვითარების კურსი, ინოვაციური საქმიანობისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების შემდგომი გაფართოება არსებული სიტუაციის გაუმჯობესების საწინდარია.

SUMMARY

The paper refers to the most popular and widely known international indexes for the country rankings by their readiness for the information society: Networked Readiness Index – NRI; Digital Opportunity Index - DOI; E- Readiness; ICT Development Index - IDI and E-Government Readiness Index and analyzes the main indicators of these indices as well.

The paper illustrates Georgia's performance in these rankings and its dynamics in recent years.

Herewith, the article considers the main factors and issues regarding the low rate of Georgia in these rankings and suggests the ways how to resolve these problems, in general.

ლიტერატურა

1. The Global Information Technology Report 2012: Living in a Hyperconnected World, World Economic Forum, 2012
2. <http://www.itu.int/ITU-D/ict/doi/methodology.html>
3. *Digital economy rankings 2010: Beyond e-readiness* - Economist Intelligence Unit, 2010 Measuring the Information Society 2012, ITU, 2012
4. United Nations E-Government Survey 2012: E-Government for the People, 2012
5. О. Н. Вершинская, О. А. Алексеева «Международные индексы готовности стран к информационному обществу», Труды ИСА РАН. Т.61.2 /2011
6. http://en.wikipedia.org/wiki/Networked_Readiness_Index
7. http://www3.weforum.org/docs/GITR/2012/GITR_OverallRankings_2012.pdf
8. *World Information Society Report 2006* – ITU, 2006
9. *World Information Society Report 2007: Beyond WSIS* –ITU, 2007
10. *E-readiness rankings 2009. The usage imperative. A report from the Economist Intelligence Unit*, 2009
11. Волинкина Е. “Чем будем мерить свое информационное общество?”. ИКС № 10 2011. <http://www.iksmedia.ru/articles/3970038.html>
12. Measuring the Information Society 2011, ITU, 2011
13. United Nations E-Government Survey 2010: Leveraging E-government at a Time of Financial and Economic Crisis, 2010